სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N1

დ.მესტია 18/02/2014 წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*
  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მ/შ;
- კომისიის წევრები:
  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
  - *მაიზერ ჯაფარიძე* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი (მივლინებაშია);
- *კომისიის აპარატის წევრები:*
  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 18 თებერვალს გამოცხადებული N1110კონკურსი.

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. უშგულის თემის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–ზე განაცხადი შემოიტანა ერტმა პრეტენდენტმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის შპს „ჰიდრო"–ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის შპს „ჰიდრო"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს

და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით“ განსაზღვრულ მონაცემებს.

შპს „ჰიდრო“–ს მიერ წარმოდგენილი იყო კონვერტზე დაკრული ქვითარი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად. კონვერტში მოთავსებული იყო რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გამოცდილება და საკონკურსო წინადადება. საკონკურსო თანხა თავდაპირველად 11000 ლარი იყო ხოლო კონკურსანტმა წინადადებაში დააფიქსირა 10620 (ათიათას ექვსას ოცი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ შპს „ჰიდრო“–ს გამოვლინდეს გამარჯვებულად N1110 კონკურსში თანხით 10 620 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: ვ.ნაკანი

კომისიის წევრები: კ.ჟორჟოლიანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი